ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3583314

ნომერი: AR1541128

თარიღი : 17.09.2017

გაცემის თარიღი : 03.10.2017

გაცნობის თარიღი : 03.10.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , დიდი დიღომი ; ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჭუმბურიძე პ/ნ 01030013137
- ლევან რჩეულიშვილის მე-2 ჩიხი #1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 17 სექტემბრის №AR1541128 განცხადება, ამავე სამსახურის 2015 წლის 07 ივლისის №1998134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 ივლისის №1998134 ბრძანებით დამტკიცდა ქ.თბილისში, დიდ დიღომში, მიწის ნაკვეთზე ს.კ: №01.72.14.035.107 მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. თქვენის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განცხადებაში დასმული საკითხი წარმოადგენს არა ცვლილებას ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში, არამედ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას. შესაბამისად, განაცხადება უნდა დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განაცხადები > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება. განცხადების დარეგისტრირებისას პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს PDF ფაილის სახით. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს საკითხთან დაკავშირებით და მიღებული გადაწყვეტილება გეცნობებათ ელექტრონულად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა, სამსახურის 2015 წლის 07 ივლისის №1998134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.